სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/114

ქ. თბილისი

26 ივნისი 20

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება -„ინსპექტირების ორგანო ტექნოლოგიური ინტელექტი"-ს დაფუძნების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და მე-8 მუხლის შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 06 ივნისის (635002) წერილის, სტუ-ის ვიცე-რექტორის თამარ ლომინაძის სამსახურებრივი ბარათის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 26 ივნისის №01-05-02/16 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სამშენებლო, საფინანსო, ჰიდრომექანიკური დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის, ენერგეტიკული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დასკვნების, საინჟინრო ჰიდროგეოლოგიური პროექტების კონსტრუქციული დასკვნების, წყალმომარაგებისა და წყალანირების საექსპერტიზო საკონსტრუქტორო და საკონსულტაციო მომსახურეობის განხორციელების მიზნით, დაფუძნდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება - „ინსპექტირების ორგანო ტექნოლოგიური ინტელექტი".
2. დადგენილებით გათვალისწინებული საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დავით გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **იაშა კუტუბიძე**